

უმუშევრობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები სტუმართ-
მასპინძლობის სფეროში საქართველოს მაგალითზე

მარიამ გოგიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (მენეჯმენტი)
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქრისტინე ლორთქიფანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგიშვილი

30.01.2022”.

აბსტრაქტი

კვლევის თემას წარმოადგენს “უმუშევრობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები სტუმართ-მასპინძლობის სფეროში საქართველოს მაგალითზე”, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა ქართული კვებისა და სასტუმროების მიმართულება, რომელთა წინაშეც დგას ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, კვლევის მეთოდოლოგიას, შედეგებს და მის ინტერპრეტაციას, საბოლოო დასკვნას, რეკომენდაციებს და გამოყენებულ ლიტერატურას. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი გადაჭრის გზების ძიება სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრიაში.

ნაშრომის სიახლედ შესაძლოა ჩაითვალოს ის რეკომენდაციები, რომელიც გაკეთდა და დაიწერა ამ ნაშრომში მიმოხილული ლიტერატურისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, არსებული მდგომარეობის წარმოსაჩენად. შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა რომ, საქართველოში სტუმართ-მასპინძლობის სფერო არაერთი გამომწვევის წინაშე დგას, როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა უმუშევრობის პრობლემა ამ ინდუსტრიაში საყურადღებოა, რადგან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კვლევიდან ჩანს რომ, ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია უფრო მეტი აქტივობების, კერძოდ რეფორმების გატარება და ეკონომიკური განვითარება, როგორც დამსაქმებლების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან.

Abstract

The topic of the research is "Unemployment problems and ways to solve them on the example of Georgia in the field of hospitality", based on the specifics of the topic, the Georgian food and hotel sectors were selected as the object of research.

The paper includes an introduction, a review of the literature, which is divided into sections, research methodology, results and interpretation, a final conclusion, recommendations and used literature. The aim of this paper is to find ways to combat unemployment in the hotel and restaurant industry.

The novelty of the paper may be the recommendations that have been made and written based on the literature reviewed in this paper and the research conducted. Quantitative and qualitative research was conducted based on the urgency of the topic to show the picture clearly. Based on the analysis of the existing results, it was found that the hospitality sector in Georgia faces a number of challenges, the study showed that the problem of unemployment in this industry is significant, because it occupies an important place in the socio-economic development of the country. Research shows that in order to solve these problems, it is necessary to carry out reforms and economical development from both employers and the government.